



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში გ. გულუას ქ. №10-ში მდებარე შსს-ს ადმინისტრაციული შენობის ჭრილების, გეგმების და ანაზომების 3D პროექციაში პროექტის შედგენის მომსახურების შესყიდვის განცხადება და ტექნიკური დავალება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი

2014 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

საკონკურსო განცხადება	3
ტექნიკური დავალება.....	6
ხელშეკრულების პროექტი.....	7

საკონკურსო განცხადება

1. შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
 2. კონკურსის მიზანია ქ. თბილისში გ. გულუას ქ. №10-ში მდებარე შსს-ს ადმინისტრაციული შენობის (ცენტრალური შესასვლელის ან სხვა) ჭრილების, გეგმების და ანაზომების 3D პროექციაში პროექტის ვიზუალიზაციის წარმოდგენის საფუძველზე საუკეთესო პროექტის გამოვლენა და შემდგომში კონკურსანტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება.
 3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარს.
 4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge>).
 5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
 6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-4 ან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
 7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
 8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა ბეჭდვითი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.
- შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.
9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2014 წლის 10 აპრილის 12:00 საათზე.
 10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2014 წლის 10 აპრილის 16:00 საათზე.
 11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 10 აპრილის 16:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქუჩა №8, IV სართული, შსს სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.
 12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

13. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.
14. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:
- საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–ს ჩათვლით)
 - ერთი ჭრილის, ერთი გეგმარებითი და ერთი 3D პროექციაში ვიზუალიზაცია (ბეჭდვითი და ელექტრონული ვერსია);
 - ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადის შესახებ;
 - ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;
 - რეკვიზიტები;
 - 2011-2012-2013-2014 წლების განმავლობაში, ანალოგიური საქმიანობის (ჭრილების, გეგმების და ანაზომების შედგენის) შედეგად არანაკლებ 100 000 კვ.მ მომსახურების გაწევის შესახებ ინფორმაცია, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით.
 - 2011-2012-2013-2014 წლების განმავლობაში, ანალოგიური საქმიანობის (ჭრილების, გეგმების და ანაზომების შედგენის) შედეგად არანაკლებ 100 000 ლარის მომსახურების გაწევის შესახებ ინფორმაცია, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით.
 - 2011-2012-2013-2014 წლების განმავლობაში, ანალოგიური საქმიანობის (შენობის ჭრილების, გეგმების და ანაზომების 3D პროექციაში შედგენის) განხორციელების არანაკლებ ერთი მომსახურების გაწევის შესახებ ინფორმაცია, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით.
15. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
16. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.
17. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:
- დიზაინი: კოეფიციენტი – 0.8
 - საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.2
- შენიშვნა: შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.
18. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 7 დღეში საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა და შემსყიდველისათვის წარდგენა.
19. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს არაარსებითი ცვლილებები ტექნიკურ დავალებაში.
20. წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია PDF ფორმატში, რომლის ერთი/თითოეული ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.
21. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და

საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

22. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება, ასევე ფოტოსურათების გადაღება, ან ნებისმიერ სხვა ინფორმაციის მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: დავით გაბრიელაშვილი, ტელეფონი 5(77)964170.

ტექნიკური დავალება

ქ. თბილისში გ. გულუას ქ.№10-ში მდებარე შსს-ს ადმინისტრაციული შენობის (ცენტრალური შესასვლელის ან სხვა) ჭრილების, გეგმების და ანაზომების 3D პროექციაში პროექტის შედგენის მომსახურება.

ა. გეგმები:

მასშტაბი 1:100. შენობა-ნაგებობის ყველა სართულის გეგმები. ღერძების, ღერძებს შორის და გაბარიტული ზომების ჩვენებით იატაკის ზედაპირების ნიშნულების და ფართობის მითითებით. მზიდი კონსტრუქციების, ღიობების სხვა კონსტრუქციული ელემენტების დატანით. შენობა ნაგებობების ტექნიკურ- ეკონომიკური მაჩვენებლები (ჯამური ფართობი). (2D. DWG ან PLN. ფაილი. ელ.ვერსია)

ბ. ჭრილები:

მასშტაბი 1:100. ღერძების, ღერძებს შორის და გაბარიტული ზომის ჩვენებით. მზიდი კონსტრუქციების, შიდა ტიხრების, გადახურვის ფილების და სხვა კონსტრუქციული ელემენტების, სართულების სიმაღლეების, არქიტექტურული და კონსტრუქციული ნიშნულების ჩვენებით.

გ. შენობა-ნაგებობის არქიტექტურული ანაზომის 3D მოდელი :

არსებული ყველა ღიობის და არქიტექტურული დეტალების, კარ-ფანჯრების, შიდა ტიხრების, ვიტრაჟების მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალების დატანით. ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას PLN ან 3Dstudio პროგრამული ფაილით.

შენიშვნა:

წარმოდგენილი ელექტრონული ვერსიების (საბოლოო პროდუქტის) გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს, როგორც რეკონსტრუქციისთვის, ასევე ინტერიერის დიზაინისათვის.

ქ. თბილისში გ. გულუას ქ.№10-ში მდებარე შსს-ს ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობის დაახლოებითი მოცულობა 24000-დან 30000-მდე კვ.მ.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები.

ხელშეკრულება N _____

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

“___” _____ 2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გია გულუას ქუჩა №8, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 204383176), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის ვლადიმერ ხატიაშვილის სახით და მიმწოდებელი: შპს/სს/იმ/ფპ „XXXXXX“, საიდენტიფიკაციო კოდი XXXXXXXXXX;

მისამართი, ტელეფონი: ქ. XXXX, XXXX ქ. №XX. ტელ: XXX XX XX;

დირექტორი/უფლებამოსილი წარმომადგენელი: XXXX XXXXXX;

საბანკო რეკვიზიტები: სს „XXXX ბანკი“ ბანკის კოდი: XXXXXX; ანგ. ანგარიში: XXX XXX XXX XXX

ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-X მუხლის მე-X პუნქტის „X“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1 გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება“ – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6 „მომსახურება“ – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2 ხელშეკრულების საგანი

(CPV-7120000).

კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში გ. გულუას ქ. №10-ში მდებარე შსს-ს ადმინისტრაციული შენობის ჭრილების, გეგმების და ანაზოუმების 3D პროექციაში პროექტის შედგენის მომსახურების გაწევა.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება: XXXX (თანხა სიტყვიერად) ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4 მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა დანართი №1-ში მითითებულ ვადებში და ადგილზე;
- ბ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაში და განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
- გ) ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან **10 (ათი)** დღის განმავლობაში წარუდგინოს შემსყიდველს საავანსო საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების **XX%**-ის ოდენობით.
- დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
- ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5 ხარისხი და საარანტიო ვადა

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველის მიერ მომსახურების გაწევის ვადების, ხარისხისა და მოცულობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შსს **საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს (თანამდებობა, სახელი, გვარი)**, რომელიც აგრეთვე უფლებამოსილია მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხოდ გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან **3 (სამი)** დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო (წუნდებული) ან დაგვიანებით გაწეული მომსახურების ნაწილის ან მთლიანი მოცულობის მიღებაზე.

6.6 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.7 ამ მუხლის 6.2 პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით, მომსახურების მიღებასთან ერთად დასტურდება ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელება.

6.8 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7 ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და თანმდევი დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) გამოწერიდან/წარმოდგენიდან **20 (ოცი)** დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული **დანართი #1-ით განსაზღვრული** მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ან/და წუნდებული მომსახურების ღირებულების **0.2%-ის** ოდენობით.

9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **2%-ის** ოდენობით.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან გარდა ამ მუხლის 10.2 პუნქტში მითითებული შემთხვევისა.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11 დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.

12.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

12.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

13 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2014 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

14 ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი_შემსყიდველს.

18 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

მიმწოდებელი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,

შპს/სს/იმ/ფპ „XXXXXX“,

მის: ქ. თბილისი, გია გულუას ქუჩა №8;
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
ს/კ - 204383176.

მის: ქ. XXXX, XXXX ქ. №XX
ტელეფონი: XXX XX XX;
საბანკო რეკვიზიტები:
ა/ა № XXX XXX XXX XXX
სს „XXXX ბანკი“ ბ/კ XXXXXX,
ს/კ: XXXXXXXXX

დანართი №1

№	დასახელება	განზ. ერთეული	CPV	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	საგარეო ვადა (თვე)
1	დასახელება	დღე/თვე	11100000	1	1	1	1
2	დასახელება	ცალი/კომპლექტი	22200000	1	1	1	3
3	დასახელება	ლიტრი/ერთეული	3330000	1	1	1	6
	სულ: ჯამი: (დღგ-ს ჩათვლით)					3	

შემსყიდველი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,
მის: ქ. თბილისი, გია გულუას ქუჩა №8;
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
ს/კ - 204383176.

მიმწოდებელი

შპს/სს/იმ/ფპ „XXXXXX“,
მის: ქ. XXXX, XXXX ქ. №XX
ტელეფონი: XXX XX XX;
საბანკო რეკვიზიტები:
ა/ა № XXX XXX XXX XXX
სს „XXXX ბანკი“ ბ/კ XXXXXX,
ს/კ: XXXXXXXXX